

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი –  
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის  
აკადემიური საბჭო**

---

---

ქ.ბათუმი

2011 წლის 6 ივნისი

**და დ გ ე ნ ი ლ ბ ა №54**

**ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2011-2012 სასწავლო წლის  
ორგანიზებულად დაწყებისა და სასწავლო წლის შეუფერხებლად წარმართვის  
ღონისძიებების შესახებ**

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის I პუნქტის, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესის 48-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი წარმართოს შემდეგი ძირითადი მოთხოვნების შესაბამისად:

- 2011-2012 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სალექციო-სააუდიტორიო სამუშაოები სწავლების ყველა საფეხურზე დაიწყოს 12 სექტემბერს, ორშაბათს და დამთავრდეს 2011 წლის 23 დეკემბერს, პარასკევს.
- დავალიანების დაფარვის ვადა განისაზღვროს მიმდინარე წლის 15 სექტემბრიდან 30 სექტემბრის (მუსიკის ფაკულტეტზე 13 ოქტომბრის) ჩათვლით.
- შემოდგომის სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 1 სექტემბრიდან 10 სექტემბრამდე, გარდა განსაკუთრებული შემთხვევისა.
- საშობაო არდადეგები გამოცხადდეს 2011 წლის 30 დეკემბრიდან 2012 წლის 10 იანვრამდე;
- მიმდინარე მეცადინეობათა აღდგენა მოხდეს 2011 წლის 26 დეკემბრიდან 29 დეკემბრის ჩათვლით;
- შემოდგომის სემესტრში ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2012 წლის 16 იანვრიდან 3 თებერვლის ჩათვლით.
- დამატებითი საგამოცდო სესია ჩატარდეს 6 თებერვლიდან 10 თებერვლის ჩათვლით.
- გაზაფხულის სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 6 თებერვლიდან 10 თებერვლამდე;
- გაზაფხულის სემესტრის სალექციო-სააუდიტორიო სამუშაო დაიწყოს 2012 წლის 13 თებერვალს, ორშაბათს და დამთავრდეს 2012 წლის 25 მაისს, პარასკევს.
- მიმდინარე მეცადინეობათა აღდგენა მოხდეს 2012 წლის 28 მაისიდან 1 ივნისის ჩათვლით;

- გაზაფხულის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2012 წლის 4 ივნისიდან 15 ივნისის ჩათვლით;
  - დამატებითი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2012 წლის 6 ივნისიდან 22 ივნისის ჩათვლით;
  - კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭება მოხდეს 2012 წლის 25 ივნისიდან 10 ივლისის ჩათვლით.
  - სალექციო-სააუდიტორიო მეცადინეობები ჩატარდეს ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა და დაიწყოს დილის 10 საათზე. განსაკუთრებულ შემთხვევაში დასაშვებია შაბათ-კვირას სალექციო-სააუდიტორიო და ინდივიდუალური მეცადინეობები.
  - აკადემიური საათი განისაზღვროს 50 წუთით, ხოლო მეცადინეობებს შორის შუალედი - 10 წუთით.
  - მუსიკის ფაკულტეტზე აკადემიური საათი განისაზღვროს 60 წუთით, ხოლო მეცადინეობებს შორის შუალედი 10 წუთით, ინდივიდუალური სამუშაოს ხანგრძლივობა დგინდება ფაკულტეტის დეკანთან და დეპარტამენტების ხელ-მძღვანელებთან შეთანხმებით.
2. დადგენილებით იხელმძღვანელონ ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ფაკულტეტებმა და სასწავლო პროცესების მართვის სამსახურმა.
3. წინამდებარე დადგენილების საფუძველზე გამოიცეს რექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.
4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2011 წლის  
6 ივნისის სხდომის (ოქმი № 13) დადგენილება.

**აკადემიური საბჭოს**

**თავმჯდომარე**

**ე.მესხია**